საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, წურწუმიას ქ. №14



საპროექტო ტერიტორია, 2014წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ პ ს
„ძველი უბანი“
ოქტომბერი
თბილისი
2017

საპროექტო ტერიტორიის ადგილი

დასაპროექტებელი ობიექტის ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილის უბან – გარეთ ავლაბარში (ისნის მუნიციპალიტეტი), წირწუმიას ქუჩაზე №14. საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ქუჩისგან ოდნავ უკან დაწეული ორსართულიანი არქიტექტურული ნაგებობის ეზოში სასტუმროს დაპროექტება.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ტერიტორიაზე დგას არქიტექტურული ძეგლი – წურწუმიას ქ. №14;

ირგელივ არქიტექტურულ ძეგლები არ არის აღრიცხული

მახლობლად რამდენიმე ფონური ნაგებობაა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო 2016წ.



ტოპოგეგმა 1970-იანი წწ.



საპროექტო ტერიტორია



წურწუმიას ქუჩა

წურწუმიას ქუჩა იწყება ავლაბრის მოედანთან, ცისკრის, გურჯაანის და ირბახის ქუჩების გადაკვეთასთან და მთავრდება თელავის ქუჩასთან. საშუალო სიგანის ქუჩა სწორხაზოვანია და ოდნავი აღმართით ფარგლავს ფერდობს. ქუჩა შუა ნაწილში, ყოფ. ყაზარმებთან მდებარე მოედანთან იჩენს გაშლილ კუთხეს.



წურწუმიას ქუჩა საპროექტო ობიექტთან

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ავლაბარის ურბანული განვითარება დაიწყო XVII ს-ში, როდესაც როსტომ მეფემ აქ ყმა-გლეხები ჩამოასახლა წოდორეთიდან. ეს გარემოებაა ასახული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე (1735 წ.), სადაც ავლაბარი უკვე დასახლებული ჩანს. განაშენიანების საზღვრები აქ მიჰყვება ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოცემულობებს და იმავე პრინციპით იკვეთება ქუჩებისა და კვარტალების ჩანასახები. თუმცა ქუჩათა ქსელი იმ დროისთვის ჯერ კიდევ ამორფული და ეფემერულია და არ აქვს ჩამოყალიბებული სახე.

1770-იან წწ. დარეჯან დედოფალმა გალავნით შემოზღუდა მეტეხის ციხის ზედა ნაწილი და გალავნის კედლის იქითა ტერიტორიას ამის შემდეგ გარეთ ავლაბარი ეწოდა.

1802 წელს ავლაბარი ადმინისტრაციულად ქალაქს შეუერთდა, მაგრამ ეს უბანი კიდევ დიდი ხნის მანძილზე გარეუბნად მოიხსენიებოდა. თბილისის იმდროინდელ გეგმებზე გალავნით შემოზღუდული შიდა ავლაბრის ქუჩების ქსელი მოწესრიგებული ჩანს, გარეთ ავლაბრის ქსელი კი კვლავ ამორფულია.

ამ ადგილას XIX ს-დე გადაჭიმული იყო ისნის ველი. მისი ურბანული განაშენიანება იწყება XIX ს-ის I ნახევრიდან. იმავე საუკუნის შუა ხანისთვის ისახება ქუჩათა ქსელი, რაც საბოლოოდ ყალიბდება XIXს-ის დასასრულისთვის. ეს პროცესი კარგად ჩანს XIX – XX სს-თა დასაწყისის თბილისის გეგმებზე.

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა ისნის ველზე არსებულ ერთ-ერთი გზის გასწვრივ, რაც გამოსახულია თბილისის 1844წ. გეგმაზე. წურწუმიას და ბადიაურის ქუჩები აქ არსებულ მოედანთან ერთად უკვე გამოსახულია თბილისის 1867წ-ის გეგმაზე.

ავლაბრის ამ ნაწილის განაშენიანება დაიწყო კახეთის მოედნიდან (ავლაბრის მოედანი), კახეთის გზის მიმართულებით (ქეთევან დედოფლის გამზირი) და დაიქსელა სხვადასხვა კუთხით ურთიერთგადაკვეთილი ქუჩებით. ამ ნაწილში, ავლაბრის ცენტრისგან განსხვავებით, სახლდებოდნენ შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, რაც აისახა განაშენიანების ხასიათზე. აქ თავდაპირველად შენდება ერთსართულიანი სახლები (იშვიათად ორსართულიანი), რომლებიც არ გამოირჩეოდნენ არქიტექტურული ღირებულებით. 1880-იანი წლებიდან, კაპიტალისტური ურთიერთობების და თბილისის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად, მშენებლობის ხარისხი გაუმჯობესდა და ამ უბანშიც უკვე შენდება ორ და იშვიათად სამსართულიანი, მეტნაკლებად უკეთესი არქიტექტურული ხარისხის ნაგებობები და იქმნება სხვადასხვა მოხაზულობისა და ზომის ურბანული კვარტალები.

XIXს-ის ავლაბარში შენდება ყაზარმები. აქ არსებობდა პროვიანტის მოედანი სამხედრო საწყობებით, რომლის ორგვლივ თბილისის პოლკის ყაზარმი აშენდა. საბჭოთა წლების დასაწყისში მას სასურსათო მოედანი ეწოდა. საპროექტო ნაგებობა წარმოადგენდა გადასახლებულთა ბავშვების თავშესაფარ სახლს.

XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. XX ს-ის 20-იანი და ძირითადად 50-60-იან წლებიდან ავლაბარში იწყება მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლების და დაწესებულებების მშენებლობა, თუმცა, გარკვეულწილად მაინც შენარჩუნებული იყო 1-2 სართულიანი განაშენიანებაც.

- *განაშენიანების სტრუქტურის განვითარება*



ავლაბარი, პროკუდინ-გორსკის ფოტო, XXს-ის დასაწყისი
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

გეოგრაფიულმა და ისტორიულ-სოციალურმა ფაქტორებმა განაპირობა განსხვავებული სტრუქტურის უბნები და უბანთა სხვადასხვა მონაკვეთები. თავდაპირველად მთელი ავლაბარი მოცული უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მიერ თვითნებურად აგებული ბანიანი სახლებით. მშენებლობისთვის პროექტირების აუცილებლობის შემოღების შემდეგ (XIXს-ის 30-იანი წწ), ბანიანი სახლების ადგილს თანდათან იკავებს წინასწარდაპროექტებულ ფასადებიანი ნაგებობები, ქანობებიანი სახურავებით (ქანობების აუცილებლობაც კანონმდებლობით იყო დაწესებული). ამ პერიოდის (XIX ს-ის მეორე ნახევარი) თბილისისთვის დამახასიათებელია გარდამავალი ეტაპი – ბანური სახლების სიბრტყობრივ-ტერასული განაშენიანებიდან – შვეულად დასახსრული, ქანობებიანი ნაგებობების, მწკრივული განაშენიანებისკენ.

ჩვენს მიკრო უბანში, მისი ტერიტორიის შედარებით გვიან ათვისების გამო, პრაქტიკულად გამოტოვებული იქნა ბანიანი ნაგებობების მშენებლობის ეტაპი. ამ ნაწილში, ავლაბრის ცენტრისგან განსხვავებით, სახლდებოდნენ შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, რაც აისახა განაშენიანების ხასიათზე. აქ თავდაპირველად შენდება ერთ და ორსართულიანი სახლები, რომლებიც დიდად არ გამოირჩეოდნენ არქიტექტურული ღირებულებით. 1880-იანი წლებიდან, კაპიტალისტური ურთიერთობების და თბილისის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად, მშენებლობის ხარისხი გაუმჯობესდა და ამ უბანშიც უკვე შენდება ორ და ოშვიათად სამსართულიანი, მეტნაკლებად უკეთესი არქიტექტურული ხარისხის ნაგებობები.

ავლაბრის ამ ნაწილის განაშენიანება დაიწყო კახეთის მოედნიდან (დღეს ავლაბრის მოედანი), კახეთის გზისა და მახათას მთის მიმართულებით და დაიქსელა სხვადასხვა კუთხით ურთიერთგადაკვეთილი ქუჩებით. განაშენიანება ვითარდებოდა ოდნავ დაქანებულ რელიეფზე და ეს აისახებოდა მის სტრუქტურაზე. ქუჩების პერიმეტრზე განაშენიანებამ თანდათან მწკრივული ხასიათი შეიძინა, ზოგჯერ ქუჩისკენ გახსნილი, აგურის წყობის დაბალი გალავნით. კვარტალების შიგნით კი, როგორც წესი, დაცული იყო თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურა.



XX ს-ის შუა პერიოდიდან და განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან, ქალაქგეგმარებითი საერთო სტრატეგიის დაუსახავად ავლაბრის ამ უბანში განხორციელდა ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების შეუსაბამო მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა, რამაც დაარღვია ქუჩების მასშტაბი და ხასიათი. ამის ნათელი მაგალითია რვასართულიანი კორპუსი ავლაბრის მოედანზე.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამ მიკროუბანში სადაც არ მომხდარა ტოტალური ჩარევა არსებულ განაშენიანებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იქვე XX ს-ის მეორე ნახევარში მოედნის ზედა ნაწილში, 77-ე სკოლის გვერდზე (ყოფ. ავლაბრის ტექნიკუმი) აგებული ხუთსართულიანი ნაგებობა ჩაეწერა არსებულ განაშენიანებაში და ადაპტირებულია გარემოსთან.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანება აქ პრობლემურია ერთი გარემოება – ქუჩების პერიმეტრის ნაწილზე და შიდა კვარტალებში ნაგებობათა დიდი ნაწილი დაზიანებულია; ამორტიზებულია ქუჩებიც; ქალაქის მმართველობა ვერ უზრუნველყოფს მათ შეკეთებას და მოსახლეობა, პირობების გაუმჯობესების მიზნით, უპროექტოდ და არქიტექტურული გააზრების გარეშე თვინებური შეკეთებით და სხვადასხვა მინაშენებით ამახინჯებს და დეგრადირებულს ხდის ისტორიულ განაშენიანებას.



უბნის ხედი ავლაბრის მოედნის რვასართულიანი სახლიდან

გარკვეულწილად ეს ვითარება გამოიწვია ახალმა სოციალურმა დაკვეთამ და მას ხელი შეუწყო არსებულმა პოლიტიკურმა და კანონმდებლობითმა კრიზისმა. ამ გარემოებაზე გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივ მობინადრეთა ინტერესებმაც – აუტანელი ყოფითი პირობები მოძველებულ სახლებში და საბინაო პირობების გაუმჯობესების იმედი ინვესტირების შემთხვევაში.

- *ლოკალური უბნის ქუჩების განვითარება*

წურწუმიას ქუჩა ჩაისახა XIX ს-ის შუა ხანებში და უკვე დაპროექტებული ჩანს ამავე პერიოდის თბილისის გეგმებზე. თავდაპირველად ეს იყო ფერდობზე გამავალი გზა. 1867წ. გეგმაზე ქუჩა უკვე არსებობს თუმცა სახელი არ აქვს. XIX ს-ის ბოლოს ეწოდებოდა **კატორის ქუჩა.** XX ს-ის დასაწყისში **კაპგერის ქუჩა.** შემდეგ **ზურაბოვის ქუჩა,** 1940-იან წწ. **კრენკელის ქუჩა** 1960-იანი წწ-დან ეწოდება **წურწუმიას ქუჩა.**

XIX ს-ის შუა ხანებშია ჩასახული უბნის მიმდებარე ქუჩებიც:

ქართული ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
ბადიაურის ქუჩა – XX ს-ის II ნახ;

წმ. ანტონის ქუჩა – XIXს;
ანტონის ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
დაღესტნის ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
წითელწყაროს ქუჩა – XXს-ის II ნახ;
დედოფლისწყაროს ქუჩა – 1991 წლიდან;

III ხაზოვანი ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
ფოსტის ქუჩა – XX ს-ის დასაწყისი.

პეტრე-პავლეს ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
ფიოლეტოვის ქუჩა – 1924წ. გეგმაზე;
ნიკიფორე ირბახის ქუჩა – 1993 წლიდან;

გზაჯვარედინი შესახვევი – XXს-ის II ნახ;
ბაიდარის შესახვევი – XX ს-ის დასაწყისი;
ძმები ხერხეულიძეების ქუჩა – 1960-იანი წწ.

I ხაზოვანი ქუჩა – 1876წ. გეგმაზე;
ნუხის ქუჩა – 1902წ. გეგმაზე;
ბოროდინის ქუჩა – 1960-იანი წწ. და დღემდე;

თბილისის 1902წ. გეგმა



№210 ობოლ ბავშვთა სახლი

- *განაშენიანების გეოგრაფიული ხასიათი*

ქუჩათა ქსელის ფორმირებას განაპირობებდა არსებული რელიეფი. ავლაბრის ზედა ნაწილში დამრეცმა ფერდმა განაპირობა თავისუფალი მოხაზულობის ქუჩათა ქსელი. ქუჩები თავისუფლად განვითარდა და მიჰყვებოდა გეოგრაფიულ მოცემულობებს. ქვევით კი მოვაკებაზე, ქუჩების ქსელი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია.

XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე ა ვ ლ ა ბ რ ი ს ქუჩათა ქსელი უკვე მთლიანად ჩამოყალიბებულია და მათში ასახულია ქალაქის ამ უბნის ურბანული განვითარების ბუნებრივი, მხატვრულ-ისტორიული პროცესი.

საპროექტო ტერიტორიასთან ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული ოდნავი დამრეცი მოვაკებაა. წურწუმიას ქუჩა ამ არეალს აღმოსავლეთი მიმართულებით კვეთს.

უბნის ქუჩების განაშენიანების სტრუქტურა



გარე ავლაბარი, ყოფ. სასურსათო მოედანი, 2009წ.

ეს ადგილი წარმოადგენს რკინიგზის ხაზიდან ოდნავ დაქანებულ ფერდობს, რომელიც ზედა პარალელური და ქვედა პერპენდიკულარული და დიაგონალური ქუჩებით არის დასახსრული. საპროექტო ადგილიდან სამხრეთ დასავლეთით მთელი კვარტალი ყოფილ საყაზარმო შენობებს ჰქონდა დაკავებული (ამჟამად ყაზარმები დანგრეულია). იქვე მოედნის ზედა გვერდზე, ირბახის ქუჩაზე საკმაოდ მოცულობითი ნაგებობებია. აქ ირბახის ქუჩაზე დგას 77-ე სკოლის სამსართულიანი შენობა. მის გვერდით მასიური ხუთსართულიანი სახლია. წურწუმიას ქუჩა აქ სწორი ხაზით ვითარდება და უერთდება თელავის ქუჩას. საპროექტო ნაკვეთის მოპირდაპირე მხარეს წურწუმიას ქუჩაზე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლებია. გვერდით კი, აღმოსავლეთით 88-ე საჯარო სკოლის მასიური შენობაა. საპროექტო ტერიტორიასთან წურწუმიას ქუჩაზე დაბალსართულიანი განაშენიანებაა.



წურწუმიას ქუჩის დასაწყისი



წურწუმიას ქუჩის შუა მონაკვეთი

წურწუმიას ქუჩის მდორე აღმართის პერიმეტრს მიუყვება ერთ-ორსართულიანი წაგრძელებული ნაგებობები. გვერდით მდებარე ქუჩებზე უფრო წვრილი მოცულობითი ერთეულებია. ეს ქუჩები გაცილებით ვიწროა და ოდნავ მორკალური.



წურწუმიას ქუჩა საპროექტო ადგილთან



წურწუმიას ქუჩა



წურწუმიას ქ. სახლი №39

წურწუმიას ქ. სახლი №37



წურწუმიას ქუჩა, 2017წ.

- *ნაგებობათა ხასიათი*



№77 სკოლის შენობა მოედნის ზედა ნაწილში



№84 სკოლის შენობა

აქ გვხვდება აგურის წყობით გამოყვანილი, როგორც შელესილი ისე შეულესავი ფასადები. ნაგებობათა მხატვრულ სახეს აქ ძირითადად სარკმელთა სათაურები, სარტყლები, ლავგარდნები და აგურისავე ფერი განსაზღვრავს. შებათქაშებულ ნაგებობებშიც აგურის წყობის სახეები ნაკლებობით არის გამოყვანილი.



ყოფ. საქაზარმო შენობები მოედანზე (დანგრეულია)

ყაზარმულ ნაგებობათა სიმრავლე ამ უბანში განაპირობებს მკაცრი კლასიცისტური სტილის პრიორიტეტს. აქ ნაკლებად გვხვდება XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისისთვის უბნებისთვის ჩვეული და დამახასიათებელი რენესანსული მოტივები (ანტიკური ორდერების დეტალები და ა. შ.). ზოგი გამონაკლისის გარდა, აქ პრაქტიკულად არ შემოუღწევია არც მოდერნის ელემენტებს.

ბადიაურის ქუჩას ოდნავ მორკალური აბრისი და კამერული ხასიათი აქვს. ძირითადად აქ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია აგურით ნაგები ფასადებით. აქ გვხვდება XIX-XX ს-ის დასაწყისისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ესთეტიკის ფასადები.

ქუჩის განაშენიანების ნაგებობათა უმრავლესობა არაფრით არ არის გამორჩეული. საინტერესო არქიტექტურული სახე აქვს ერთსართულიან საცხოვრებელ სახლს (№37) მართკუთხა სარკმლების რიგით ქუჩის ფასადზე, რომელიც ფონურ ნაგებობად არის აღრიცხული. ფონურ ნაგებობად არის აღრიცხული ასევე კლასიცისტური იერის მქონე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი №49.

უბანში საკმაოდაა დანგრეული სახლები. შემორჩენილები ძლიერაა დაზიანებული და დამახინჯებულია. ნაგებობათა უმეტესობა არაღირებულია, და უბნის განაშენიანება დეგრადირებულია გვიანდელი, უსახო მცირე მოცულობებით.

- საპროექტო ტერიტორია



საპროექტო ტერიტორია, ხედი შიდა კვარტალისკენ, 2017წ.

საპროექტო ტერიტორია გაბალახებული ადგილია წურწუმიას ქუჩიდან უკან დაწეული ორსართულიანი სახლის უკან, რომელიც აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად. ამ ტერიტორიას უკანა მარჯვენა მხრიდან ემიჯნება 88-ე სკოლის სამსართულიანი შენობა და მისი ეზო.



საპროექტო ტერიტორია, ხედი ქუჩიდან, 2017წ.

ორსართულიანი ნაგებობა ქუჩიდან უკან არის დაწეული და ქუჩის პერიმეტრზე გაყოლებული ლითონის ცხაურიანი ღობით წინ შემოიზღუდავს ეზოს. მოზრდილი მართკუთხა ეზო ვითარდება შენობის უკანა მხრიდანაც. ეს ეზოც მეზობელი ნაკვეთებიდან გამიჯნულია ყორე ქვასა და აგურის ცოკოლზე შემომდგარი ლითონის ცხაურიანი ღობით. დასავლეთით დგას არაღირებული ნახევრადდაშლილი მოცულობა.



საპროექტო ტერიტორია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, 2017წ.



საპროექტო ტერიტორია, ხედი სამხრეთ-დასავლეთისკენ, 2017წ.



საპროექტო ტერიტორია, ხედი ჩრდილოეთით, 2017წ.



ორსართულიანი სახლი, სამხრეთი ფასადი, 2017წ.



ჩრდილოეთი ფასადი



ჩრდილო-დასავლეთი



სამხრეთ-აღმოსავლეთი



აღმოსავლეთი ფასადი

ნაგებობა მართკუთხა ფორმისაა და დასრულებულია კონვერტული სახურავით. აგებულია ე.წ. „რუსული" აგურის მკვიდრი წყობით. ფასადები შელესილია და დაფარული მუქვარდისფრად. მთავარი ფასადი ქუჩის მხრიდან სიმეტრიულ პრინციპზეა აგებული. ცენტრში კიბის უჯრედის ოდნავ ნაშვერი მართკუთხა რიზალიტია, რომელშიც ქვევით სადარბაზო კარია გაწყობილი და ზემოთ სრულდება ხის პროფილებიანი მცირე ფრონტონით. იქვე მეორე სართულზე კრონშტეინებზე შესმული ღია აივანი იყო მოწყობილი. სართულებს გაუყვება მართკუთხა სარკმლების რიგები მოჩარჩოებული ნალესი არშიებით. შენობა დაბალ ცოკოლზეა შემომდგარი. სართულებს შორის პროფილირებული ლავგარდანებია. სრულდება მაღალი პარაპეტით და ხის კრონშტეინებზე შესმული გადმოკიდული გადახურვით.



II სართულის ინტერიერი



I სართულის ინტერიერი



კიბის უჯრედი



შეფიცრული აივანი



სარკმლის არშია



კედლის სტრუქტურა

ნაგებობის ინტერიერის გეგმარებაც სიმეტრიულ პრინციპზეა აწყობილი. ცენტრში უკანა ფარდისკენ გამჭოლად წაგრძელებული კიბის უჯრედია. მის გვერდებზე მოზრდილი მართკუთხა დარბაზებია ორივე სართულზე. ეზოს მხარეს ორივე სართულზე მთელ სიგრძეზე თავდაპირველად ღია, ამჟამად კი ამოშენებული გალერეა-აივანია. თითო სართულზე ორ-ორი მოზრდილი დარბაზია. I სართულზე დარბაზებს ორ-ორი დამატებითი მართკუთხა ოთახები ემიჯნება, დასავლეთ ფლანგზე ოთახები ქუჩის მხარეს, აღმოსავლეთ ფლანგზე კი ეზოსკენ. II სართულის აღმ. ფლანგის გეგმარება იგივა, დასავლეთ ფლანგზე კი მოზრდილ დარბაზს ქუჩისკენ მომცრო წაგრძელებული დარბაზი ემიჯნება I სართულის ორი ოთახისა და დერეფნის ნაცვლად.

სადარბაზო ორფრთიანი კარიდან შევდივართ მართკუთხა ტამბურში, შემდეგ კი წაგრძელებულ კიბის უჯრედია ორსვლიანი კიბით. ქვის საფეხურებიან კიბეს ლითონის ცხაურიანი მოაჯირები აქვს. II სართულზე ტამბურის თავზე ასეთივე ზომის ოთახია, საიდანაც კარია გაჭრილი სადარბაზოს შვერილის თავზე მოწყობილ აივანზე.

ინტერიერი სადად არის მორთული ჭერის ნალესი კარნიზებით და ცენტრში ვარდულებით. კედლების შემოსვის თავდაპირველი სახე არ არის შემორჩენილი. ფანჯრების და კარების ღიობების წირთხლები განიერდება ინტერიერისკენ. კიბის უჯრედის იატაკები კერამიკული რომბისებური ფილებით არის მოშანდაკებული. ოთახებში კი ნაძვისებური ნახატის პარკეტია დაგებული. წაგრძელებული აივნის სვეტები მართკუთხაა და ბეტონისგან არის ჩამოსხმული, მცირე პროფილებით. სხვენში ასასვლელი მოწყობილია კიბის უჯრედიდან მართკუთხა ღიობით. სართულშუა გადახურვები ხის მასიურ კოჭებზეა მოწყობილი. საფასადო კედლები განიერია 70სმ. ტიხრები თანადროული – 40სმ. გვიანი ხანის – 20სმ. სხვენში ხის ნივნივების სისტემაა მოწყობილი. სახურავი თუნუქისაა. დაფერილია მოყავისფროდ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად უბნის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აქ არსებული განაშენიანება შეიქმნა XIXს-ის II ნახევარსა და XXს-ის დასაწყისში. აქ ნაკლებადაა არქიტექტურული ძეგლები და ამ უბნის ნაგებობათა დიდი ნაწილი არ გამოირჩევა მაღალი არქიტექტურული ღირებულებებით, მაგრამ მიუხედავად იმისა, აქ მნიშვნელოვანია ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული სტრუქტურა და ქუჩათა ქსელი. ამიტომ, ახალმშენებლობის წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის ხასიათი. თუმცა, არ არის გამორიცხული, განსაზღვრული გამომსახველობითი ინტენსივობის და მშენებლობის კარგი ხარისხის ახალი არქიტექტურული ფორმების გაჩენაც.

აქ ურბანული სტრუქტურის ჩამოყალიბებას საწყისი არქიტექტურული სახე მას მისცა საყაზარმო კომპლექსმა (XIX ს-ის II ნახ.) და შემდეგ განვითარება ჰპოვა მოედნის ზედა ნაწილში მკაცრი არქიტექტურული ფორმების „ავლაბრის ტექნიკუმის“ შენობის დადგმისას (XX ს-ის დასაწყისი). პროცესი გაგრძელდა მოედნის ქვედა გვერდზე, წურწუმიას ქუჩაზე კიდევ ერთი ორსართულიანი სასკოლო შენობის აგებით და მოედნის ზედა გვერდზე ტექნიკუმზე ხუთსართულიანი შენობის მიდგმით (XX ს-ის შუა პერიოდი). იგივე ითქმის საპროექტო ადგილის გვერდით აგებულ სასკოლო შენობაზე და რა თქმა უნდა თვით საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ორსართულიან სახლზე რომელიც აღრიცხულია არქიტექტურულ ძეგლად.

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა სანახევროდ დანგრეული ყოფილი საყაზარმო შენობების გადარჩენა და მათი თავდაპირველი სტრუქტურის ფუნქციური ადაპტირების გზით შენარჩუნება. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის განვითარების პერსპექტიული ხედვა და აქ არსებული ღირებული არქიტექტურული ერთეულების შენარჩუნებით და ახალი, ასევე ღირებული არქიტექტურული მოცულობების დამატებით დავსახოთ უბნის ურბანული განვითარების მართებული გზა.

რაც შეეხება საკუთრივ განსახილველ ტერიტორიას აქ საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია სასტუმრო კომპლექსის აგება. კერძოდ, მიწის ნაკვეთის თავისუფალ ადგილზე ახალი ნაგებობის დაპროექტება და არსებული ორსართულიანი შენობის ადაპტირება და ჩართვა ამ კომპლექსის ნაწილად.

ტერიტორიის ფართობიდან გამომდინარე შესაძლებელია აქ ახალი მოცულობების დაპროექტება. ოღონდ იმ პირობით, რომ იგი არ დათრგუნავს ძეგლს და ხელს არ შეუშლის მისი აღქმის შესაძლებლობას. ამისთვის კი შესაბამისი მეთოდოლოგიით და რეკომენდაციებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

პროექტირების და ახალმშენებლობის პროცესი შესაძლებელია წარიმართოს შემდეგნაირად: თავდაპირველად სასურველია ამ გარემოებებისათვის შესაბამისი ესკიზური პროექტის დამუშავება. მისი დამტკიცების შემდეგ კი, არქიტექტურული ძეგლის რეაბილიტაციის პროექტის დამუშავება, რასაც სჭირდება სპეციალური კვლევა და არქიტექტორ-რესტავრატორთა აუცილებელი მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ ახალმშენებლობის პროცესმა არ გამოიწვიოს დაზიანებული არქიტექტურული ძეგლის კიდევ უფრო მეტად დაზიანება. ამიტომ, პირველ რიგში საჭიროა მისი გამაგრება.

ახალმშენებლობისათვის სასურველია ზოგადი და კერძო სახის რეკომენდაციების გათვალისწინება:

- გათვალისწინებული უნდა იქნეს და არ უნდა დაირღვეს უბნის ერთიანი მასშტაბი;

- ვინაიდან ირგვლივ არსებული შენობები საშუალო მოცულობისაა, შესაძლებელია ანალოგიური მასშტაბის ნაგებობის დაპროექტება;

- პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიოს არქიტექტურული ძეგლის მასშტაბსა და მის ადგილმდებარეობას ნაკვეთზე. ახალი ნაგებობა მისგან სასურველია მოშორებით მოეწყოს;

- ანგარიში უნდა გაეწიოს რელიეფის თავისებურებას, რაც კარგად იყო გათვლილი უბნის განვითარების მთელ მანძილზე;

- აქ ირგვლივ სასწავლო დაწესებულებათა ნაგებობებია და მათი ფუნქციისთვის დამახასიათებელი სპეციფიური არქიტექტურული სახე, დიდად შორს არ არის აქ არსებული ყაზარმული არქიტექტურის ესთეტიკიდან, ამიტომ სასურველია ახლად ასაშენებელი მოცულობის ერთგვარი არქიტექტურული უნისონის მიღწევა არსებულ მხატვრულ-არქიტექტურულ კონტექსტთან;

- ახალი მოცულობების ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება მკვეთრად არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

- ამავე დროს ეს არ ნიშნავს, რომ ზუსტად უნდა გავიმეოროთ ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილისტიკა. „ძველი“ ფორმები ზომიერად უნდა იყოს გამოყენებული, რათა ახალმშენებლობა არ დაემსგავსოს ბუტაფორიას;

- შესაძლებელია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- უბნის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ავტომანქანების რაოდენობის გაზრდა, რაც უფრო დაამძიმებს პარკირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ საკითხს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, იგი უნდა წარიმართოს მიწის ზედაპირის მინიმალური ფართის გამოყენების გზით. მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მიწისქვეშა პარკირების შესაძლებლობა;

- მნიშვნელოვანია ესკიზური პროექტების და ფოტომონტაჟების ჩვენება სხვადასხვა რაკურსიდან, ზედხედების ჩათვლით;

- ასევე აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი მშენებლობის მაღალი ხარისხიც;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
16. 10. 2017წ.

არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, წურწუმიას ქ. №14



საპროექტო ობიექტი, 2014წ.



საპროექტო ობიექტი, 1911წ.

შემსრულებელი

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ პ ს
„ძველი უბანი“
თებერვალი
თბილისი
2017

სარეაბილიტაციო ობიექტის ადგილი

სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილის უბან – გარეთ ავლაბარში (ისნის მუნიციპალიტეტი), **წურწუმიას ქუჩაზე №14.** საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ამ ნაგებობის რეაბილიტაცია და მისი ადაპტირება სასტუმროდ.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

სარეაბილიტაციო ობიექტი არქიტექტურული ძეგლია – წურწუმიას ქ. №14;

ირგვლივ არქიტექტურული ძეგლები არ არის აღრიცხული

მახლობლად რამდენიმე ფონურ.ი ნაგებობაა

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო 2016წ.



ტოპოგეგმა 1970-იანი წწ.

ნაგებობის ისტორია:

აგების თარიღი – XIX–ის დასასრული.

ინვესტორები, მშენებლები და არქიტექტორი – არ არის ცნობილი;

არქიტექტურული სტილი – XIX-XXსს-ის მიჯნისთვის დამახასიათებელი ეკლექტური სტილის საზოგადოებრივი ფუნქციის ნაგებობა, მარტივი კლასიცისტური და ხის არქიტექტურის ელემენტებით;

გამოყენება:

თავდაპირველი – გადასახლებულების ობოლ ბავშვთა თავშესაფარი სახლი;

შემდეგი – საბავშვო ბაღი.;

ამჟამინდელი – ამჟამად ნაგებობა კერძო მფლობელის საკუთრებაა.

თვდაპირველი გეგმარება – ზოგადად იგივე როგორც დღეს, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ჰქონდა. ეს იყო ამ ეპოქის სახლებისთვის დამახასიათებელი გეგმარება – მართკუთხა ფორმის მოცულობა, ცენტრში მტელ სიღრმეზე გამჭოლი კიბის უჯრედით და სხვადასხვა ზომის ოთახებით ორთავე სართულის გვერდებზე, რაც უკანა მხრიდან სრულდებოდა გალერეა-აივნების სისტემით, ასევე ორთავე სართულზე. ორივე სართულზე დასავლეთ ფლანგზე ორი სხვადასხვა ზომის მართკუთხა ოთახი იყო. აღმოსავლეთ ფლანგზე კი, თითო დიდი დარბაზი, ჩრდილოეთიდან წაგრძელებული წინკარით.

სამშენებლო ფენები – აქ ძირითადად ერთი საამშენებლო ფენაა, შემდეგდროინდელი მცირე გეგმარებითი ცვლილებებით (ტიხრები ოთახებში);

ტოპოლოგიური მახასიათებლები – უკანა ეზოსკენ გამავალი გალერეა-აივნები ხის იმიტირებული ბეტონის სვეტებით;

გეგმარება:

ადგილმდებარეობა ქალაქში – ძველი თბილისი გარე ავლაბარი, ყაზარმების უბანი, წურწუმიას ქ. №14. ნაგებობა დგას ქუჩის პირზე ლითონის ცხაურიანი ღობით შემოზღუდულ ეზოში. ქუჩიდან 12 მ-ით უკან არის დაწეული. მოზრდილი მართკუთხა ეზო ვითარდება შენობის უკანა მხრიდანაც. ეს ეზოც მეზობელი ნაკვეთებიდან გამიჯნულია ყორე ქვასა და აგურის ცოკოლზე შემომდგარი ლითონის ცხაურიანი ღობით. დასავლეთით დგას არაღირებული ნახევრადდაშლილი მოცულობა;

მეზობელი ნაგებობები – ეზოს უკანა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან ემიჯნება 88-ე სკოლის სამსართულიანი შენობა და მისი ეზო. დასავლეთისკენ მოძველებული ნაგებობების ნანგრევებია. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია;

ორიენტაცია – დასავლეთ-აღმოსავლეთის გრძივის მიმართულება;

რელიეფი – სამხრეთისაკენ ოდნავ დახრილი;

ნიადაგი – თიხნარი;

გეგმა – ნაგებობა თითქმის კვადრატული ფორმისაა, სადარბაზოს თხელი რიზალიტით ქუჩის ფასადის მხარეს. უკანა ეზოს მხარეს გამოდიოდა ხის ღია გალერეა-აივნების სისტემით. ცენტრალური ღერძის კიბის უჯრედის ორივე მხარეს, აივნების უკან, გადანაწილებულია ცხვადასხვა ზომის მართკუთხა ფორმის ოთახები.

ეზო – ქუჩისკენ ლითონის მარტივი ცხაურით შემოზღუდული ღია ეზოა. შეკიდულია ლითონის ცხაურიანი მარტივი კარი. მართკუთხა ფორმის მოზრდილი ეზო სახლის უკანაა. სამი მხრიდან შემოღობილია სხვადასხვა მასალით. ორთავე ეზო გამწვანებულია სხვადასხვა ჯიშის ხეებით და ბუჩქებით;

სართულიანობა – ორსართულიანი ნაგებობა;

სართულთა გეგმები –



I სართული

I სართული, ცენტრში უკანა ფასადისკენ გამჭოლად წაგრძელებული, განიერ საყრდენ კედლებში მოქცეული კიბის უჯრედია. მის გარდიგარდმო მოზრდილი სხვადასხვა ზომის მართკუთხა 4 მ. სიმაღლის ოთახები. უკანა ეზოსკენ ამჟამად ამოშენებული გალერეა-აივანია. დასავლეთ ფლანგზე სამხრეთით მდებარე დარბაზი მოგვიანებით გადატიხრულია და შექმნილია შიდა დერეფანი და ორი მცირე ოთახი ქუჩისკენ. გადატიხრულია ასევე აღმოსავლეთით დიდი დარბაზის გრძელი წინკარი.



II სართული

II სართულზე გეგმარება პირველი მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ დასავლეთის ფლანგის ქუჩისპირა დარბაზი არ არის გადატიხრული, ხოლო პირიქით აღმოსავლეთი ფლანგის დარბაზი გადატიხრულია განივად.

სადარბაზო ორფრთიანი კარიდან შევდივართ მართკუთხა ტამბურში, შემდეგ კი წაგრძელებულ კიბის უჯრედია ორსვლიანი კიბით. II სართულზე ტამბურის თავზე ასეთივე ზომის ოთახია, საიდანაც კარია გაჭრილი სადარბაზოს შვერილის თავზე მოწყობილ აივანზე.

ოთახებში უხვად არის გაჭრილი მართკუთხა განიერი სარკმლები. ორ-ორი სარკმელია დატანილი ოთახებში აივნებისა და ქუჩის მხარეს. სახლის გვერდით ფასადებზე თითო სართულზე ხუთ-ხუთი სარკმელია, რომლებიც ნაწილდება ოთახებზე.

დამხმარე სათავსოები:

საპირფარეშო – მოწყობილია შემინულ აივანზე. ორივე სართულზე;
წყალი – ორივე სართულის საპირფარეშოში წყალი გამოიყვანეს მოგვიანებით; ეზოში საერთო სარგებლობის ონკანია.
გათბობა – ოთახები თბებოდა კედლის ღუმელით. მოგვიანებით მოწყობილი იყო ცენტრალური გათბობის სისტემა;

მასალების სტრუქტურა, კონსტრუქციები, დაზიანება:

საყრდენი კედლები – საშუალო სიგანისაა – 0.60სმ. გამოყენებულია რუსული მართკუთხა გრძელი აგური. I სართულის კედლები70სმ. სიგანისაა. II სართულის კედლები 60სმ.

კედლების სტრუქტურა – ფასადის და ინტერიერის მხარეს „რუსული“ აგურის მკვიდრი წყობაა კირნარევ ცემენტის ხსნარზე, მათ შორისი არე შევსებულია ნატეხი აგურით და ღორღით;

სართულშუა გადახურვა – მოწყობილია ხის მსხვილი კოჭებით. იატაკები ხის ფიცრისაა. ჭერი ლამფითაა შეფიცრული;

სახურავი – კონვერტული სახურავები თუნუქითაა გადახურული და ეყრდნობა ხის ნივნივებს. სხვენში ასასვლელი დატანილია მე-2 სართულის ერთ-ერთ ოთახის ჭერში. სახლს გარს შემოუყვება შებათქაშებული, ხის კრონშტეინებით გაწყობილი, აგურის მაღალი პარაპეტი;

საპირე მასალა – საფასადო მხარეს აგურის წყობა შებათქაშებულია და შემდეგ დაფერილი მუქვარდისფრად. ბათქაშის სისქეში გამოყვანილია ღიობთა მოჩარჩოება და კვეთილი მართკუთხა სახეები. კედლის წყობა შებათქაშებულია ინტერიერის მხრიდანაც; ცოკოლს გაუყვება ბათქაშით გამოყვანილი ლილვებიანი ქამარი და ნაცრისფრად არის დაფერილი.



აივნები – ეზოს მხრიდან აივნები ორივე სართულზე ბეტონის სვეტებიანია ხის ფაქტურის იმიტაციით. აივნები ამჟამად ამოშენებულია და გადახურულია საერთო თუნუქის სახურავით. ქუჩის ფასადის მხრიდან მე-2 სართულზე სადარბაზო კარის თავზე პროფილირებულ კრონშტეინებზე შეკიდულია ხის ჭვირულ მოაჯირიანი ღია აივანი;

სადარბაზო – ქუჩის ფასადის მხრიდან ცენტრალურ რიზალიტში დატანილია ხის მოხარატებული ორფრთიანი მართკუთხა ფორმის სადარბაზო კარი. სადარბაზოს მართკუთხა ტამბურში გარედან შევდივართ საფეხურის გარეშე;

კიბე – მე-2 სართულზე ასასვლელი ქვის საფეხურებიან კიბეს ლითონის ცხაურიანი ხის მოაჯირები აქვს. ორსვლიანი კიბე მოწყობილია ნაგებობის ცენტრში.

ჭიშკარი – მარტივი ფორმის გისოსებიანი ლითონის ერთფრთიანი ჭიშკარი;

დაზიანება – მისი ფიზიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა და საშიშია ნაგებობის ექსპლუატაცია. გაჩენილია ბზარები და ნაპრალები. დეფორმირებულია კედლები და დაზიანებულია აივნების ხის მასალა.

ინტერიერი:

გეგმარება – ორთავე სართულზე მართკუთხედის ფორმის და სხვადასხვა ზომის ოთახებია, რომლებიც კარებით არის დაკავშირებული შიდა კიბისუჯრედთან;

სარკმლები – თარაზულ ზედანიანი

გაფორმება – ინტერიერში მრავალჯერ არის ჩატარებული რემონტი. თავდაპირველად კედლები იყო შებათქაშებული და დაფერილი.





სარკმლები ინტერიერში

– იატაკები ხის ფიცრის;

– ჭერი შელამფული;

– შემორჩენილია კარს-სარკმელთა მოჩარჩოების მარტივპროფილიანი ხის ალათები;





კარები ინტერიერში



ჭერის ვარდული



ჭერის ნალესობა



ინტერიერი

– მომდევნო პერიოდში კედლები და ჭერი ზოგან შელარტყულია და შებათქაშებული ე.წ „ბაღდადკით”, გვერდებზე კი კედლებს და ჭერს გასდევს ბათქაშისავე ლავგარდანის ლილვები;

ფასადები:



სამხრეთი ფასადი, 2017წ.



ჩრდილოეთი ფასადი



ჩრდილო-დასავლეთი



სამხრეთ-აღმოსავლეთი



აღმოსავლეთი ფასადი

ნაგებობა მართკუთხა ფორმისაა და დასრულებულია კონვერტული სახურავით. აგებულია ე.წ. „რუსული” აგურის მკვიდრი წყობით. ფასადები შელესილია და დაფარული მუქვარდისფრად. მთავარი ფასადი ქუჩის მხრიდან სიმეტრიულ პრინციპზეა აგებული. ცენტრში კიბის უჯრედის ოდნავ ნაშვერი მართკუთხა რიზალიტია, რომელშიც ქვევით სადარბაზო კარია გაწყობილი და ზემოთ სრულდება ხის პროფილებიანი მცირე ფრონტონით. იქვე მეორე სართულზე კრონშტეინებზე შესმული ღია აივანი იყო მოწყობილი. სართულებს გაუყვება მართკუთხა სარკმელების რიგები მოჩარჩოებული ნალესი არშიებით. შენობა დაბალ ცოკოლზეა შემომდგარი. სართულებს შორის პროფილირებული ლავგარდანებია. სრულდება მაღალი პარაპეტით და ხის კრონშტეინებზე შესმული გადმოკიდული გადახურვით.



სადარბაზო



სარკმლები II სართ.



I სართული



ხის ფრონტონი



მეორე შესასვლელი



ხის შვერილი კარნიზი

ფასადებზე სარკმელთა მოჩარჩოება ნალესობით არის შექმნილი. II სართულზე ზემოთ დატანილია საჭექი ქვები (მართკუთხა „ბალიშები“. სარკმლებს რაფების ქვეშ ბათქაშში გამოყვანილი რელიეფური კვეთილობა აქვთ. ფასადების წიბოები ფლანკირებულია ნალესობით გამოყვანილი რუსტირებული თხელი პილასტრებით. ხის მეორე ორფრთიანი კარი მოწყობილი იყო დასავლეთ ფასადზე. განსხვავებულია ფასადი უკანა ეზოს მხარეს. აქ ორთავე სართულზე, ხის იმიტაციის ბეტონის მასალის სვეტებიანი აივნები ჰქონდა, რომლებიც ამჟამად ამოშენებულია და ჩასმულია შეუსაბამო ლითონპლასტმასის ფანჯრები. გადახურულია საშუალო სიმაღლის კონვერტული ტიპის თუნუქის საბურავით, რომელიც ფაქტობრივად არ მონაწილეობს საფასადო აღქმაში.



ამოშენებული აივანი

ღიობები – ეკლექტიკური იერის ნალესობით მოჩარჩოებიანი მართკუთხა ღიობები სტანდარტულად შემინული ალათებით;

წყობის ტექნიკა – აგურის მკვიდრი წყობა ყველგან შებათქაშებულია და დაფერილია ვარდისფრად;

დეკორაციული კვეთილობა – სარკმლები მოჩარჩოებულია პროფილირებული ბათქაშით. იმიტირებულია საჭექი ქვები თარაზულ ზედანებში. რელიეფური კვეთით არის შემკული თარო-რიზალიტის II სართულის აივნის კრონშტეინები. სახურავის პარაპეტი და ნაგებობა მთლიანად შემოსალტულია, სხვადასხვა სასიმაღლო დონის პროფილირებული ლავგარდანებით. კუთხეებში რუსტების ტიპის ბრტყელი პილასტრებია. დეკორაციული მორთულობის შემადგენელია გადახურვის ქვედა ხის კრონშტეინები და ხის მოხარატებული ფრონტონი.

დოკუმენტაცია – საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ვერ იქნა მოძიებული ნაგებობის თავდაპირველი პროექტი;

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XXს-ის დასაწყისის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო სადაც აღბეჭდილია ეს უბანი, თუმცა ნაგებობა ამ ფოტოებზე ძნელად გაირჩევა. შედარებით კარგად მოჩანს მისი დას. ფასადი პროკუდინ-გორსკის 1911 წლის ფერად ფოტოზე. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფოტო, ფ.799-4; ფ.799-8; თბილისის მუზეუმის არქივი №6569; პროკუდინ-გორსკის ფოტო 1911;

ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა”) საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1800წ. 1802წ, 1844წ. 1867წ, 1902წ. 1924წ.

შეფასება:

კულტურულ ისტორიული – ეს ნაგებობა ძველი თბილისის XIX-XXსს-ის მიჯნის დასასრულის საუწყებო სახლია. საინტერესოა, როგორც თბილისის ამ მიმართების, საზოგადოებრივი დანიშნულების სახლების განსაზღვრული ტიპის სახე.

მხატვრულ-რქიტექტურული – ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა და ფასადებით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი უბნის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

სტატუსი – ნაგებობა ადგილობრივის მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლია.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010501164



1. სახელწოდება - №22 საბავშვო ბაღი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წურწუმიას ქუჩა 14
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის დასაწყისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის № 3/133 ბრძანება

დასკვნა და რეკომენდაციები:

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

„ნაგებობა XXს-ის დასაწყისის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს გეგმარებისა და მხატვრულად კარგად გააზრებული ეკლექტიკური სტილის ელემენტებიანი ფასადების თვალსაზრისით. გეგმარებისა და მასშტაბის მხატვრული გადაწყვეტით შენობა, ორგანულადაა ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ამ უბნის მხატვრულ-არქიტექტურული სახის შექმნაში.

შენობის გამაგრებისა და ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას სასურველია გათვალისწინებული იქნეს შემდგეგი ზოგადი და კონკრეტული რეკომენდაციები:

- ✓ სასურველია ნაგებობის საფასადე ელემენტების, შელესილობის და საღებავის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება. თავდაპირველი ფენებისა და ტონალობის დადგენა და ფასადების აღდგენისას ყველა ამ მონაცემებით ხელმძღვანელობა;
- ✓ სასურველია განხორციელდეს დეტალური არქეოლოგიური ანაზომი;
- ✓ ფასადის დაზიანებული ნაწილების გადაწყობის შემთხვევაში სამუშაოები სასურველია განხორციელდეს დეტალური ანაზომის საფუძველზე, არქიტექტირ-რესტავრატორის ზედამხედველობით;
- ✓ განსაკუთრებით საყურადღებოა შენობის ფასადების დაზიანებული დეკორის ფრაგმენტების აღდგენა – მათი აღდგენა უნდა მოხდეს არსებული იდენტური დეტალების მიხედვით, ავთენტურობის შენარჩუნებით; აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოიხსნას დეკორაციული ელემენტები და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ დაუბრუნდეს პირვანდელ ადგილს;
- ✓ კარ-ფანჯარა აღდგეს ხის მასალით;
- ✓ კარ-ფანჯრის აღდგენისას შენარჩუნებული იქნეს არსებული ალათების ფორმა და დეკორი;
- ✓ აღსადგენია ხის აივანი და მის ზემოთ ხის ფრონტონი. მოსაწესრიგებელია ასევე საწვიმარი მილების პოზიცია და სახე;
- ✓ უნდა აღდგეს ამოშენებული აივანი თავდაპირველი სახით. შესაძლებელია შეიმინოს;
- ✓ აღსადგენია ხის სადარბაზო კარი;
- ✓ ასევე აუცილებლად იქნება გასათვალისწინებელი [illegible]ლობის მაღალი ხარისხიც;

ხელოვნებათმცოდნე – [illegible] ჯანიშვილი

16. 02. 2018წ.